№ 109 მაისი 25, შაბათი 1891 მაისი 25, შაბათი № 109

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲘ

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისში რედაქციას, ყუდრაში, ავშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

№ 1877—1891 ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ 1877—1891

ბანკის თეატრი
შაბათს, 25 მაისს, წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

ᲠᲐᲜᲜᲘᲐᲘᲐ ᲝᲚᲔᲜ

დრამა 4 მოქმედებად, ისხ. ჯარნოვისა.
მონაწ�eობას იიღებენ: მ. ნ. ერმოლოვისა, ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა, ვ. ლ. ფორკატი და იაკოვლევი.

კვირას, 26 მაისს წარმოდგენილ იქნება

ᲛᲐᲠᲘᲐ ᲡᲢᲘᲣᲠᲢᲘ

ტრაგედია 5 მოქმედ. ისხ. შილერისა. მარიას როლს ასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა, ელიზაბეთისს ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

ორშაბათს, 27 მაისს, წარმოდგენილ იქნება:

ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲐ

დრამა 4 მოქმედებად, ისხ. ჩაიკოვსკისა. დასაწყისი $8^1/_4$ საათზედ.
ბილეთების ყიდვა შეიძლება 10 საათიდან $2^1/_2$-დე და $4^1/_2$ საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.
მინდიდოსნებს სთხოვეს, რომ თეატრში უსათუოდ მოიახლონ ადრე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** აი ის საგნები, რომელიც განიხილა ტფილისის თავად-აზნაურთა კრებამ ხუთშაბათს, 23 მაისს.

3 აპრილს 1889 წელს უმაღლესი ბრძანება გავოვიდა შესახებ იმისა, რომ კავკასიაში მიწის გამიჯვნის გადასახადი დესეტინაზედ 6 კაპ. დაინიშნოს; წინად-კი ეს გარდასახადი მხოლოდ 1 კაპ. იყო. კრებაზე დიდი ბაასი ჩამოვარდა ამის შესახებ და ბოლოს ესე დადგინეს: ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ისევ ძველი გადასახადი დარჩეს ჩვენს მხარეში მიწის გამიჯვნისა, როგორც დაწესებული იყო 334 მუხლით უმაღლესად დამტკიცებელისა 29 ივნისს 1861 წ. ამიერ კავკასიის გამიჯვნის დებულებისა.

ი. ი—ძემ წინამძღვრობაზედ წერილით მიჰმართა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. ლ. ა-ძეს მაღალაშვილსა და სთხოვა კრებისათვის მოეხსენებინა იმის აზრი შესახებ იმისა, რომ ჩვენში ბევრად ცოტანი გვყვანან ისეთები, ვინც ღვინის დაყენების საქმე იცოდენო. მთელს რუსეთში მხოლოდ ერთად-ერთი სასწავლებელია, სადაც ღვინის დაყენებას ასწავლიანო—საიმპერატორო ნიკიტასის სასწავლებელი. ამ სასწავლებელში 50 ყმაწვილი სახელწიფო ხარჯით იზრდებიან. იყო დრო, როცა კოკასიის სამეურნეო საზოგადოებას რამდენიმე სტიპენდია ჰქონდა ამ სასწავლებელში ჩვენის ქვეყნის შვილთა აღსაზრდელად, მაგრამ დღეს ამას მოკლებული ვართ და ეხლა შვილები ნიკიტასის სკოლასა და სხვაგან ჩვენის ხარჯით უნდა ვგზავნოთ, ი. წინამძღვრობა-შვილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სასურველია, ნიკიტასის სასწავლებელში რამდენიმე სტიპენდია იყოს სახელმწიფო ხარჯით აღსაზრდელად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებისაო. ამისათვის ვითხოვოთ, დაგვინიშნონ ამ სასწავლებელში ჩვენის შვილებისათვის 10 სტიპენდია. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ესეთი აზრი ბ-ნ წინამძღვრისა და გადასწყვიტა: ვითხოვოთ ბ-ნ მთავარმართებლის შუამავლობით, რათა დაგვეთმოს 10 სტიპენდია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებისათვის ნიკიტასის მეღვინეობისა და საბაღლნო სასწავლებელშია.

კრებამ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოთ გუბერნიის წინამძღოლ თავ. ი. კ—ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის ექვსის წლის სამსახურისათვისაო.

დასასრულ თავად-აზნაურთა კრებას სჯა ჰქონდა შესახებ იმ გადასახადისა, რომელიც გაწერილია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაზე შვილების აღსაზრდელის თანხის შესადგენად. ეს გადასახადი გაიწერა თანახმად იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც დადგინა თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ 1885 წლის მორიგს კრებაზე.

რკებამ გადაწყვიტა: ვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ აჩქარებულ იქმნას ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაო.

ამით დასრულდა საგნების განხილვა და კრება შეუდგა წინამძღოლების არჩევას. გუშინდელს ნომერში მოვიხსენეთ სია მაზრებში ამორჩეულ წინამძღოლთა. გარდა ორისა ტფილისის და ბორჩალოსი.

ტფილისის მაზრის აირჩია წინამძღოლად თავ. ს. ი—ძე ორბელიანი, კანდიდატებად: კამერ-იუნკერი თავ. ამ—ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი და თავ. ი. ზ—ძე ბარათაშვილი; დეპუტატად მ. ბ—ძე ისარდოვი.

ბორჩალოს მაზრის წინამძღოლად აირჩია თავ. გ. ი—ძე ორბელიანი, კანდიდატად რაიმ-ბეგ ჯდიგროვი; დეპუტატად ი. შ—ძე ზანშიკეი.

საგუბერნიო წინამძღოლის არჩევანი მოხდება დღეს, ღილის 9 საათზე.

*** მთავარ-მართებელმა კავკასიისამ გენერალ-ადიუტანტმა ს. ა—ძე შერეტკინმა დღეს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, მიიწვია სადილად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა.

*** არჩევანი სომეხთ პატრიარქკათალიკოსისა, როგორც ამბობენ, დანიშნულია მერმის მაისში. ამ წლის დამლევსვე შეიკრიბებიან სტამბოლს საეპარქიო ყოველად - სამღვდელნონ ოსმაღლეთისა და დასახელებენ კანდიდატებს ამ მაღალის თანამდებობისათვის.

*** გუშინ, შუადღეს, გამგეობის საკრებულო დარბაზში შეკრებილიყვნენ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი, ქალაქის თავის მოადგილის, ბ-ნის იზმაილოვისა და გამგეობის წევრების ბბ-ნთ ხოსროვისა და ბეკანოვის მეთაურობით. აქვე მზად იყო მღვდელი.

სწორედ შუადღეზედ შემოვიდა დარბაზში ახალად ამორჩეული ქალაქის თავი, კამერჰერი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა თავ. ნ. ვ-ძე არდუთინსკი-დოლგორუკი. ქალაქის ახალმა თავმა ფიცი მიიღო და ბ-ნმა იზმაილოვმა აიხადა ქალაქის თავის ჯაჭვი და გარდასცა თავ. არღუთინსკის.

თავ. არღუთინსკიმ, ჩაიბარა თუ არა თანამდებობა, აქვე შეკრებილ მოსამსახურეთ გამოუცხადა, რომ მხოლოდ თქვენის დახმარებით გამიადვილდება ქალაქის სამსახური, რომელიც მაკისრა საბჭომ ამორჩევითაო. ბ-ნმა იზმაილოვმა ყველანი სათითაოდ გააცნო თავ. არღუთინსკის და ამანაც ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა, ბევრს მათგანს ელაპარაკა კიდეც ქალაქის საქმეების შესახებ.

შემდეგ მთელს გამგეობას ბჭობა ჰქონდა თითქმის 2 საათამდე.

მომავალ ორშაბათის კრება გაიმართება თავ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით.

*** ამ ჟამად ყარაიაზედ დიდი მუშაობაა კალიის გასაწყვეტად და დიდი მუშა-ხალხი ტრიალებს. ეს მუშები რაზმებად დაყოფილია და თითო რაზმს თავისი ზედამხედველი ჰყავს. ერთი ზედამხედველთთაგანი სამშაბათს, 21 მაისს, საღამოს მძიმედ დაუჭრია თავისს ამხანაგს რაღაც იქნეულობისა გამო, მძიმედ დაჭრილი თავ. კონსტანტინე ბებუთაშვილი იმ დამესვე ბ-ნ ფილისის მაზრის უფროსს თავ. ლ. ჯანდიერს ქალაქში ჩამოუყვანია და ექიმები მიუშველებია, ხოლო დამნაშავე-კი შეუპყრია.

კ. ბებუთაშვილი მძიმედ დაჭრილია ბერდანის თოფის ტყვიით თემოსა და მუცელში: ტყვიას თემოს ძვალი სრულიად დაუგლეჯია და მუცლის ქვედა ნაწილშიაც გაუვლია: ექიმი ძლიერ ეშვობს იმის გადარჩენას.

*** გორი: 15 მაისს ჩვენი ქალაქი ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა და ტფილისის გუბერნის სახელმწიფო ქონებათა გამგემ ინახულეს. ჯერ ბ-ნი გუბერნატორი სოფ. ატენს გაემგზავრა და აღვივთქვა, რომ ხვალვე დავბრუნდები და ქალაქისა და მოქალაქეთა საპატიოებას ყველაფერს შევიტყობ და გამოვარკვევო. ატენიდამ დაბრუნების შემდეგ, 16 და 17 მაისს, მისმა ბრწყინვალებამ ინახულა და დაათვალიერა ყველა აქაური სასწავლებელი: საოსტატო სემინარია, დედათა პრაგიმნაზია, სასულიერო სასწავლებელი და სხვ. უნახავად და დაუთვალიერებლად არ დაუგდია აგრეთვე საპაროგილეკ. საოსტატო სემინარიაში ბ-ნმა გუბერნატორმა 2 საათამდის დაჰყო და უკანასკნელის კლასის შეგირდებს სიტყვა უთხრა, რომელშიაც გამოუცხადა სურვილი, რომ რაც შეიძლება მომთმენი იყავიო, ნუ დაეცემით სულით, როცა რაიმე დაბრკოლება შეგვხდეთ ცხოვრებაშიო, გამაართლედ იმედი მოავრობისა და ერისა, რომელნიც თქვენგან სასარგებლო ნაყოფს ელიანო („ტ. ლ.“).

*** ბაქოს გაზ. „კასპი“ ვვაცნობებს, რომ ამ ჟამად ადგილობრივი პოლიცია სასტიკად ეპყრობა ბაქოში მცხოვრებს ებრაელებსაო, ყოველს ღონეს ხმარობს გადაასახლოს, აქედამ ყველა ის ებრაელი, რომელსაც უფლება არ აქვს ამ ქალაქში ცხოვრებისაო. იმათაც-კი ისტუმრებენ თურმე, რომელთაც რომელიმე ხელობის მოწმობაც აქვთო. გადასახლებულს ებრაელებს „გასავლელს“ ბილეთს აძლევს პოლიცია იმ პირობით, რომ რამდენისამე დღის განავლობაში უთუოდ გავიდნენ ქალაქიდამ 30 ვერსის მანძილზე მაინცაო.

გაზეთი ამბობს, რომ ბევრი ებრაელი, რომელთაც თავიანთი მაღაზიები აქვთ, ჰყიდიან თურმე საქონელს და სტოვებენ ბაქოს. ზოგიერთნი-კი, რომელთაც ბაქოს დატოვება ეძნელებათ, ქრისტიანობას იღებენ და რჩებიანო.

*** „ნოვოე ობოზრენიე“-ს მეტად საყურადღებო წერილი მოსვლია ერთის ქართველ მოხელესაგან ქალაქ განჯიდამ.

„ეს-ესრის დაკაოდღერე აქ გარდაცვალებულია და აქვე ძველის, მანგრელიის ეპეკლესიის კალაკანში დასაფლავებულის ქართველ პოეტის ნ. ბარათაშვილის სიფლაკი. სასწუსარო გრძნობას იწვევს, ისეთი სასასაკი: არავითარი ნიშანიც არა სჩანს იმისა, რომ აქ განასვენებს კაცი ისეთის კაცისა, რომელსაც ტოტა-რამ მაინც გაუკეთებია ქართველის მწერლობისათვის.

ერთად-ერთი ნიშანი იმისა, რომ აქ დაცულია კაცი „ქართველთა ლერმონტოვისა,“—ორი მარმარილოს ქვა, რომელიც ეპეკლესიაში ისასვა იმის შიშათა, რომ ისინიც არ გაჭაჭრენ აქედამო. ამ ქვებზედ რუსულად და ქართულად წარწერადა: „აქ განასვენებს კაცი ქართველის თაკადისა, კეთილშობილსა ნ. ბარათოვისა, გარდაცვალებულის ოცდა-მეცხრე წელს, 9 ოქტომბერს 1845 წ.

„ეროს გარემოცას უნდა მიეჯეროთ თქვენი ყურადღება. ადგილობრივს ადმინისტრაციას განზრახვა აქვს შიგ ეპეკლესიის კალაკანში ქუჩა გაიკაროს და ეს ქუჩა რამდენსაც სიფლაკს აუცილებლად მოაჭრიან, სხვათა შორის ნ. ბარათაშვილის სიფლაკსაც. ვისოვისაც ძვირფასია სახელი ნ. ბარათაშვილისა, არა თუ სიტყვაო, საქმითაც ვი. კალკებულია იმის გაკეთა უპატრონოს, კალაკანში ნ ტფილისის ნ აქვე განკაზეში ასაფლა სასიფლაოზე, თორემ რამდენსმე ხანს შემდეგ სრულიად გამქრალა სიფლაკი განსვენებულისა. ეს ამბავი, რადგან ქუჩა მოლად მიკარეწლულია იქნება.“

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიას შემოსწირეს წიგნები შემდეგი:

ქრისტ. ი-ძე მამაცაშვილმა—ქართულ-რუსული ენაზე დაბეჭდილი ხელშეკრულობა მეფე ერეკლე მე II-სი ეკატერინასთან 1783 წ. და კიდევ ერთი რვეული საისტორიო მასალის პირებისა მის მიერვე გადაწერილი.

მიხ. ძნელაძემ—ცხოვრებაჲ საქართველოსნა, ლიტოგრაფ. გამოცემული პარიზში 1829 წ. ბროსეს მიერ.

ბატონმა მაჭუტაძემ—ყარამანიანი, ხელთ-ნაწერი.

ანდ. ს-ძემ ღულაძემ—ლოდიკა მხედრული ხელნაწერი, გრამატიკა, წმ. გიორგის წამება, ეფლისარია, პროკლე დიოდოსისი პლატონისა, დიალექტიკა, დასაბამი ღვთის მეტყველებისა და გუჯარი დომენტი კათალიკოსისა 1705 წლისა.

ლევან ნ-ძე ქორჭაშვილის მემკვიდრეთა: ხრონოგრაფი არჩილ მეფისა, გალავინის ისტორია ქართულად ნათარგმნი და დავრიშიანი.

ბატონ ისაია ფურცელაძემ—ფორმა ვითარ ჯერ არს მოხსენება ხელმწიფეთა, ინსტრუქცია ბლაღოჩინებისადმი, ფორმა პირველთა ზედა ექტენიათა მწუხრად, ცისკრად და ლიტურგიასა ზედა, შედეგი სამადლობელისა გალობისა, სხვა-და-სხვა უქაზები და ფორმები, სიგელ-გუჯარნი, სხვა-და-სხვა ლექსები, აღსარების წიგნი, ვახტანგ მეფის კანონები, პარაკლისი წმ. გიორგისა, კვინკლისი, ქალ-ვაჟიანი, თარგმანი საუფლო ლოცვისა, კარაბადინი, განმარტება შეიდთა მამაკვლინებელთა ცოდვათა, მოძღვრება ეკლესიის მონათათ, სამი რვეული ვეფხის ტყაოსნის ნაწყვეტებისა და გრამატიკა.

ბატონმა სახოკიამ—მეფეთა საქართველოსათა აღწერა, ვახუშტის მიერ.

ნიკო ლომაურმა—ახალი შიხი.

წინამძღვრინთაკარის სკოლის შეგირდმა—ორი სიგელი, რომელთაგან ერთს მეფე გიორგი მე-XII-ის ბეჭედი ასვია.

„წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ - ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲘᲡ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

(ის. „ᲘᲣᲠᲜᲐᲚᲘ“ №№ 101—104 და 107—108).

შემდეგ წაკითხულ იქმნა საერთო მოხსენება ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობისა, რომელსაც განუხილავს აზრი ა. ი. კობაშვილისა სესხის გაიაფების შესახებ, და დაუდგენია: ვითხოვოთ, რომ სათადარიგო და განსაკუთრებულ (экстра-ординарный) თანხებისათვის და ბანკის

გამგეობის ხარჯად ამ წლის პირველ ივლისიდგან 1% გადავახდევინოთ ხოლმე როგორც 6%, ისე 5% სესხზედ; ზედამხედველს კრებას უფლება ჰქონდეს, თუ საჭირო გახდა, მინიჭებული, რომ ეს რიცხვი ¾% ჩამოვახდინოთო; მოვიპოვოთ უფლება 4½% გირავნობის ფურცლების გამოცემისა, იმის უფლება, რომ საკრედიტო კანცელარიის ნება-რთვამდე, გირავნობის ფურცლები მზადა გვქონდეს ავანსად მოცემული და მსესხებელს აქ გადაწყვეტილ სესხის ნახევარი ვაძლიოთ, მანამ დანარჩენს დაამტკიცებს საკრედიტო კანცელარია და აგრეთვე იმისიც, რომ ქალაქის მამულებზედ დანაფასევისაგან 75% მივცეთო.

ბ. ბ. მაჩაბელი. თ. ილ. ჭავჭავაძემ გუშინვე გამოაცხადა, რომ გამგეობის ხარჯს უთუოდ უნდა დავუკლოთ ½% და ამით სესხი გავაიაფოთო. მე-კი ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ სესხის გაიაფება მხოლოდ 6% გირავნობის ფურცლების 5%-ად გადანაცვლით შეიძლება და რომ ½% იმდენს სიკეთეს ვერ მოგვიტანს და მსესხებლებს ფეხს ვერ გაამაგრებინებს. თ. ჭავჭავაძემ გუშინ პირში ბუთი ჩამჩარა, თუმცა ცხოვრების შესახებ არა ელაპარაკობდი, კრიჭა შემიკრა იმ დეპეშით, რომელშაც სასიამოვნო ამბავი მოგვიტანა 5% გირავნობის ფურცლის გამოცემისა. ძალიან სასიამოვნოა, რომ მივაღწიეთ ჩვენს სურვილს, თუმცა უფრო ადრევე შეიძლებოდა ამ ნება-რთვის აღება. რაკი სესხს ასე ვაიაფებთ 5% გირავნობის ფურცლების გამოცემით, ½%-დაკლება საჭირო აღარ არის, რადგან ამით ჩვენი მოგებაც 60,000 მანათამდე კლებულობს, ასე რომ ძნელად თუ მერმისს 5-6,000 მანეთზედ მეტი მოგება დაგვრჩეს. ამ ფულით როგორ უნდა გავუძღვეთ ჩვენს საზოგადო საჭიროებას! თ. ჭავჭავაძემ სთქვა, რომ დიდად ძნელია 5% გირავნობის ფურცლების კონვერსიაო, ჩვენის ქაღალდების ფასი ძირს დაიწევს და ამიტომ მსესხებელთა საკრედიტო საზოგადოებაში გადასვლას ვერ ავიცილებთო. მეც ვიცი ამ საქმის ავი და კარგი და გარწმუნებთ, რომ ამას ოთხი წელიწადი სულაც არ მოუნდება და არც ისე ძნელია, როგორც აზვიადებენ: საჭიროა მხოლოდ საუკეთესო ბანკირები შევიპიროთო. შეიძლება აგრეთვე ჩვენს მსესხებლებს ვურჩიოთ, რომ 6% გირავნობის ფურცლების მაგიერ 5% გაიტანონ, მამულები ხელ-ახლად დაეფასოთ და მეტი მივცეთ, რომ დაკლებული ფული შეავსონ. მაგალითებრ, ვისაც ასი ჰმართებს, 120 მივცეთ, თუ დაფასება ამის ნებას მოგვცემს. ვსთხოვ კრებას ნუ შეამცირებთ ½%-ით გამგეობის ხარჯს და 60,000 მან. ნუ მოგვაკლებთ, იმ ფულს, რომლითაც ჩსულდგმულობს ჩვენი სათავად-აზნაურო სასწავლებელი.

თ. ი. გ. ᲬᲘᲚᲙᲝᲕᲜᲘ. ბოდიშს ვიხდი, რომ ხელ-ახლად უნდა გავიმეორო უბრალო არითმეტიკული ამოცანა. მაგრამ რას იზამთ, როცა შენსას არ გაიგონებენ და შენი აზრი შეცდომადაც-კი მიაჩნიათ. საკრედიტო საზოგადოება ამ ჟამად 100 მან. ობლიგაციაში, რომელიც ბირჟაზედ 98 მან. ჰღირს, იღებს 7 მან. 75 კაპ. ანგარიშით ასის კვალობაზედ 7 მან. 94⁶/₁₀₀ მოღის, თითქმის 8 მანეთი. ჩვენ-კი ½% რომ დავაკლოთ და 6% გირავნობის ფურცლებზე ვიგუ-ლისხმოთ, 8 მან. 50 კაპ. ეღირება ასზედ და, მაშასადამე, ჩვენ და იმათ შუა ათ შაურზედ იქნება განსხვავება. ასე რომ ჩვენს მსესხებელს ათ თუმანზე ათი შაური მეტი მოუვა, ასს თუმანზედ—ხუთი მანეთი, ათასზედ—ხუთი თუმანი. საკრედიტო საზოგადოებაში-კი, ჩვენიდგან რომ იქ გადავიდეს, ეი რა ხარჯი უნდა გასწიონ პირველს გადასვლაშივე ათასს თუმანზედ. ჯერ ერთი, ათ თუმანზედ ორი მანეთი უნდა მისცენ, იმიტომ რომ ჩვენს გირავნობის ფურცელს ვერ იყიდიან ათ თუმანს ნაკლებ და იმათი ობლიგაცია-კი 98 მან. ღირს. მაშასადამე, ჩვენიდგან რომ იქ გადავიდეს, მსესხებელმა ეხლავე ორი მანეთი ჯიბიდგან უნდა ამოიღოს ყოველ ათ თუმანზედ. ეგ ორი მანეთი ეს თუმანზედ ორ თუმანსა იქს, ათასზედ—ოც თუმანს. ახლა ამას მოუმატეთ დაფასების ხარჯი, ახალის ზალოგის მოწმობისა და გამოვა, რომ, აქედგან რომ ათას თუმნიანი ვალი გადიტანონ საკრედიტო საზოგადოებაში, 300-მანათამდე ეხლავე ხარჯი მოუნდება. რაკი იმედია, რომ ამ ოთხს წელიწადში კონვერსია ჩვენშიაც დამთავრდება და ამასთან რაკი წელიწადში ათასს თუმანზედ ხუთს თუმანს მეტს მოგვცემს სესხის ამღები, გამოვა, რომ ოთხს წელიწადში ჩვენში ბევრი-ბევრი ოცი თუმანი მეტი დეახარჯოს, მაშასადამე ათ თუმნამდე კიდევ მოგება დარჩება საკრედიტო საზოგადოების შედარებით, ოთხი წელიწადი რომ ჩვენში დარჩეს. რაკი ამ ოთხს წელიწადში იმისი 6% ვალი უსათუოდ 5%-ად გადაკეთდება, მაშინ ხომ ჩვენი მსესხებელიც იმ გარემოებაში იქნება, რა გარემოებაშიაც საკრედიტო საზოგადოებისაგან სესხის ამღები ღღეს. ავალიშვილმა გუშინ მართალი სთქვა, რომ სესხი იმიტომ-კი არ უნდა გავაიაფოთ, ვითომ ცილობა გავუწიოთ საკრედიტო საზოგადოებას, არამედ იმიტომ-რომ ჩვენს მსესხებლებს გავუადვილოთ სესხის გადახდის მძიმე ტვირთოთ. იმიტომაც, რომ შეგვეძლოს, ბანკის გამგეობის ხარჯი ¼%-აც უნდა ჩამოვიყვანოთ. საკვირველია, ღმერთმანი: ყალბზე შემდგარან, ჩვენი მსესხებლები რად გადადიან საკრედიტო საზოგადოებაშიო, და თითონვე-კი არ უნდათ ისეთი ღონე იხმარონ, რომ გზა შეუკრან და აქავე ამყოფონ მსესხებლები. ყოველმა ჩვენმა მსესხებელმა ანგარიში კარგად იცის და რაკი ჰნახავს, რომ 200 მან. დაკარგვა-სჯობია 300-სასაო, 100 მან. უსაქმოდ დაკარგვას არ მოინდომებს და აქავე დარჩება, მით უმეტეს, რომ ოთხის წლის შემდეგ გარდასახადი იქაც და ჩვენშიაც ერთი იქნება. აქა სთქვეს, რომ კონვერსიის დაწყება ძალიან ადვილია, მხოლოდ ბანკირებს უნდა შევეკრათ პირობით, ან ხელ-ახლად დავფასოთ მამული და ის ფული, რომელიც 6% გირავნობის ფურცლის 5%-ად გადანაცვლაზედ დაიკლება, სესხს მოვუმატოთო, აბა ეგ არის აი ყინულით მოფენილი და ფეხის მოსასხლეტი გზა, რომ მსესხებელს იმაზედ მეტი მივცეთ, რაც ეხლაა მიცემული.

თ. ი. გ. მაჩაბელი. მე ეგ არასოდეს არ მითქვამს.

თ. ი. გ. ᲬᲘᲚᲙᲝᲕᲜᲘ. უკაცრავად, რომ ეგრე შემომესმა მე ეს სიტყვები. მაგრამ კარგი, ვთქვათ, არ გითქვამთ ესა. იმის დასანახავად, თუ რა ძნელია კონვერსია, ერთს მაგალითს დავასახელებ. რუსეთის ყველა ბანკებს საერთოდ თითქმის ½ მილიარდამდე 6% ქაღალდი აქვთ გამოცემული. როცა ფინანსთა მინისტრმა საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრება გაჰმართა, ითხოვა, რომ 6% მაგიერ 5% გიჰხადეთ, რომ 4% სახელმწიფო ქაღალდებს გასავლი ჰქონდეს ბირჟაზედაო. კრებამ კონვერსია ერთბაშად შეუძლებელად დაინახა და მხოლოდ 75 მილიონის კონვერსიას შეჰპირდა, ისიც ისე-კი, რომ თითონ მთავრობამ მონაწილეობა მიიღოს ამ კონვერსიაშიო.

მ. ვ. მაჩაბელმა დიდხანს ილაპარაკა და ამტკიცებდა, რომ საჭირო არ არის ½% დაკლება, ამით ბანკი დაიღუპებაო. რაც შეეხება კონვერსიას, პირობით შევეკრათ ბანკირებს, ბირჟაზედ სასურველი კურსი დავაყენოთ და ზარალი აღარა გვექნება-რა. აქ ათასს უბედურებას გვიქადიან. მართალია, ადვილი არ არის კონვერსია, მაგრამ ამის შესრულებას სულ სხვა გვარი პოლიტიკა უნდა და არა თ. ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ. მაგალითებრ, შეიძლება მივიდეთ ბანკირ ვაველბერგთან და ას მანათიანი ახალი გირავნობის ფურცელი 98 მან. შეეადლიოთ. ამისათვის სულ 120,000 მან. მიცემა დაგვეჭირდება 9 მილიონ სესხზედ და ეს-კი რა ფულია. თუ ვაველბერგი უარს იტყვის, სხვა ბანკირებიც არიან...

(მაჩაბელს: კიდევ დიდ ხანს: უნდოდა დაპარაკი, მაგრამ კრებამ არ დაუცადა).

ს. ი. კოპაძეშვილი. მე კერძოდ იმ აზრისა ვარ, რომ ¾% დავუკლოთ, უმეტესობა-კი ½% დაკლებას რჩეობს. ხსნა სწორედ ¾% დაკლებაშია, რადგან ტყუილად ჰგონიათ, ვითომ 5% გირავნობის ფურცლების გამოცემა სრულიად აავაკილებს თავიდგან გაჭირებასაო. ½% დაკლებით არა გვეშველება-რა, რადგან ჩვენი სესხი მაინც ძვირი იქნება და მსესხებლები მაინც საკრედიტო საზოგადოებაში გადავლენ. უეჭველად უნდა შევამციროთ ¾%-ით, თუნდა 80,000 მანათი მოგება მოგვაკლდეს, რადგან მერმისში მოვიგებთ.

თ. გ. ᲩᲐᲓᲠᲘᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ. საკვირველია, რად აძლევს თავმჯდომარე ნებას, რომ ყოველი უბრალოდ გაამბს იმის შესახებ ლაპარაკს, რის ლაპარაკის დროც ჯერ ან არ დამდგარა, ან გასულა. აქ %-ის დაკლებაზეა ბაასი და მ. ვ. მაჩაბელი კონვერსიაზედ მოჰყვა ლაპარაკს. საქმე იმაშია, რომ სასარგებლოა თუ არა ½% დაკლება. ილ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ნათლად აგვიხსნა ეს საგანი და გვითხრა, ნუ გაშინებთ ის გარემოება, რომ ჩვენგან საკრედიტო საზოგადოებაში გადადიან, იქიდგანაც გადმოსულან ჩვენთან, მაგრამ ბანკი არ დაღუპულაო. მეორე წევრი გამგეობისა წინააღმდეგია. მესამე-კი სულ ხმას არ იღებს. იმის აზრიც შევიტყოთ და მოვრჩეთ, დავაფუძვიტოთ ეს საგანი.

ᲡᲐᲞᲐᲠᲝᲗᲘ ᲮᲛᲐ. მართალია, მართალი.

გ. ი. თარხნიშვილი. დიდად მაკვირვებს ის გარემოება, რომ ძალიან ადვილად ეკიდებიან საქმეს ის ლაპარაკის მოყვარული ორატორები, რომელთაც კარგადაც არა აქვთ გათვალისწინებული სალაპარაკო საგანი. მაგათ რომ ჰკითხოთ, ბანკირებს შეუძლიანთ ერთმანეთს პირობა მისცენ და სარგებლიანს ქაღალდს ის ფასი დაადონ, რაც თითონ ეპრიანებათო. განა შესაძლებელია, ესეც არ იცოდეს „ფინანსისტმა“, რომ ფასის დამდები და ამწევ-დამწევი ბირჟაა და არა კრება ბანკირებისა. კონვერსიისათვის ვაველბერგს მოველაპარაკოთ, პირობით შეეკეკრათო, თითქოს ჩვენი გირავნობის ფურცლები მარტო იმასა ჰქონდეს. გირავნობის ფურცლები მილიონ ადამიანთ ხელშია, მთელის ქვეყნის ძირზეა მოფენილი, რუსეთში, გერმანიასა, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. როგორ გვიბრძანებთ, რომელ ერთს მოველაპარაკოთ? კარგი, ვსთქვათ ესეც შევიძელით, მერე ბევრმა რომ არც კი მოინდომოს 6% მაგიერ 5% მიღება და ტირაჟამდე არ დაგვანებოს თავისი 6% გირავნობის ფურცელი? აქ საქმე ისე აშკარაა, რომ არავითარი გაბმა-გამობმა ლაპარაკისა აღარ უნდა. ტყუილად რაზედ გვაწუწნენ თავს ან მე და ან მთელს კრებას. თუ მოუვათ რაგვა აზრად ისეთი, რომ ჩვენს ბანკს სიკეთეში ჩაადგებს, ასეთი აზრი ჯერ ბანკის გამგეობას უნდა გააგებინონ, გამგეობა ზედამხედველს კომიტეტს აუწყებს და მერე მოახსენდება საზოგადო კრებას. მე გთხოვთ, ½% დაკლება დაამტკიცოთ და ამას გარდა ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობას ბანკისას ნება მისცეთ, რომ თუ საჭიროდ დაინახავენ, ¾%-მდეც ჩამოვიდნენ.

მ. ვ. მაჩაბელი ფეხზედა სდგას, უნდა ლაპარაკი, ჰყვირის, ლაპარაკის ნება მომეცითო, მაგრამ არ აცლიან, აქეთ იქიდგან გაისმის: კმარა, კმარაო. ბოლოს მ. ვ. მაჩაბელი იძულებულია კრებას თავი დაანებოს და წავიდეს.

ნ. ს. ᲮᲣᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. დიდად საბუნებრაოა, რომ საზოგადოებამ ნება არ მისცა მ. ვ. მაჩაბელს ლაპარაკისა. რაც უნდა სასიამოვნო არ იყოს იმის ყურის გდება, მაინც უნდა მოვუსმინოთ, მოვალენი ვართ. მეორე მხრით ესეც სათქმელია, რომ თუმცა აქამდე ყურს ვუგდებდი მ. ვ. მაჩაბლის გრძელს ლაპარაკს, ეხლაც არ ვიცი, რა სთქვა. მოგვალია იმისმა ლაპარაკმა. დავუბრუნდები საგანს: აქა სთქვეს რომ ½% დაკლებით მოგება ბანკისა 60,000 მანეთი შემცირდებაო. თუ ამ ბანკის კეთილდღეობასა ვარ მოწადინებული და გული შემეტკივა, მხოლოდ იმიტომ, რომ იმის მოგებით სასწავლელი სულდგმულობს და საზოგადო საჭიროებას ავიცილებთ ხოლმე თავიდგან. ამიტომ, ჩემის აზრით, ისეც ისა სჯობს მსესხებელმა მეტი შეიტანოს და სასწავლებელი არსებობდეს, ვიდრე ისე, რომ სესხი გავაიაფოთ და სასწავლებელი-კი გავაუქმოოთ.

ᲐᲥ. ᲗᲣᲗᲣᲜᲯᲘ. ½% დაკლება ჩვენის ჯიბის შემატებაა, მაგრამ არ გვნდა. მე არც „ვეზვრატნი კაპიტალი ვიცი და არც კონვერსია“. ეგ ფული სასწავლებელს მიეცით.

Ქ. ᲡᲘᲣᲨᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ჩვენ რომ ასე გავაბათ, ჩვენს ლაპარაკს ბოლო არ ექნება, სათქმელი არავის გამოგველევა. ვთქვათ არ დაუკლოთ, ეს მსესხებლები რომ წავიდნენ? განა უფრო უარესი საქმე არ დაემართება სასწავლებლებს, რაღა ასაზრდოებს?

ᲒᲘ. ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ჩემის აზრით, ეს ½% მხოლოდ ძველს მსესხებელს უნდა შევუმციროთ და იმათ, რომელნიც ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში დაიგირავებენ მამულებს. დანარჩენს შორეულს ადგილებში, მაგალითებრ, ერევანში მყოფ მსესხებელსაკი არ უნდა მივცეთ ეს შეღავათი, რადგან ჯერ ერთი ამ ადგილებიდგან მსესხებელი იშვიათია და მეორე, ძნელიც არის იმათის მამულის გირაოდ მიღება.

ᲨᲣᲚᲘᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ. თუ დაკლებაა, ყველასთვის უნდა დაუკლოთ.

ᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ. მაშ როგორ გადავწყვეტოთ, დავუკლოთ, თუ არა?

მაჩაბლის თხოვნით ამ საგნის გადაწყვეტა კენჭის ყრით მეორე დღის 17 მაისისათვის გადაიდო.

(შემდეგი იქნება)

ᲛᲝᲚᲘᲠᲘᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ

(შემდეგი. ის. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 108)

ბ-ნი კ. ნ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲫᲘ. მართალია, სხვადა-სხვა მიზეზის გამო, ბანკში ნაკლებად დავდივარ, რადგანაც წელს სხვა საქმეც ბევრი მქონდა, მაგრამ დღე ისე არ გავა, რომ ნახევარ საათი მაინც არ გავატარო ბანკში და ამიტომ ვიცი, ვინ რამდენს მუშაობს ბანკის მოსამსახურეთაგან. ზოგს მეტი სამუშაო აქვს და ზოგს—ნაკლები. ყველამ იცით, თუ რა კაცია ჩვენი კასირი თავ. ილ. მიქელაძე. სამუშაოც ბევრი აქვს და მუშაც კარგია. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია, თუ თქვენც თანახმა გახდებით, ასი მანეთი მივუმატოთ და ათას ასი მანეთი, რომელიც ჯამაგრად აქვს, ათას ორასად შევუსრულოთ. მეორე ბ-ნი ს. ხახუაშვილი გახლავთ, ბუჰალტერის თანაშემწე. ამასაც, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი სამუშაო აქვს და ვფიქრობ, რომ მიემატოს 120 მანეთი, ესე იგი თითო თუმანი თვეში.

საზოგადოებაში იძახიან: ძალიან კარგი, მიემატოს, მიემატოს.

თავ. დ. Თ. ნაყარაძე. მართალია, ჩვენ ბანკში არა ვმსახურობთ, მაგრამ ვიცით-კი, ვინ რამდენს მუშაობს. სათქმელი არა მაქვს-რა მიქელაძისა და ხახუაშვილის საწინააღმდეგოდ, ხოლო უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი სამუშაო ბანკში სხვებსაცა აქვთ. თქვენც კარგად იცით, ვინ არის იქ მუშა, ასე რომ, თუ ერთს გინდათ მიუმატოთ, სხვებმა რა დააშავეს.

ბ-ნი კ. ბ. ᲓᲝᲠᲝᲗᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რამდენიმე შენიშვნა უნდა მოგახსენოთ. ტფილისის ბანკს ჩვეულებად აქვს ალნიშვნა ანგარიშში იმ მამულების შემოსავალ-გასავლისა, რომელიც ბანკს დარჩენია, და ყოველად საჭიროა ჩვენის ბანკის გამგეობაც ასე იქცეოდეს, როცა ანგარიშს აგენენ. ღღეს-კი არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ის დარჩენილი მამულები. ამიტომ ერთი კაცი უნდა დაინიშნოს ამ მამულების მმართველად, ჯამაგირიც უნდა გავუჩინოთ და ეს ჯამაგირი ხარჯთაღრიცხვაში უნდა იყოს შეტანილი. რაც შეეხება ბ-ნი ი. მიქელაძეს, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯამაგირის მომატების წინაღმდეგი არა ვარ, მაგრამ მე მგონია სჯობს ეგ საქმე ასე გადავწყვიტოთ: ი. მიქელაძე კასირია და ყოველად შეუძლებელია ანგარიშის დროს ფული არ გადაჰყვეს, ასე რომ ზოგჯერ იძულებულია ეგ გადაყოლილი ფული ბანკს უზღოს ხოლმე. ამიტომ სჯობს, ნება დავრთოთ გამგეობას და კომიტეტს ამ გვარის შემთხვევისათვის 100—200 მა-

ნეთამდე აძლიოს ხოლმე ი. მიქელაძეს, როცა საჭიროება მოითხოვს.

(სხსურობაა, სოზოგადოება ითხოვს: კარგია, ჯერ იფოს, მიესდოს გამგეობასს და კამიტეტს).

ბ-ნი დ. ნ. ასათიანი. ცოტა არ იყოს, ეგ საგანი აღემატება კრების უფლებას. კრებას საშუალება არა აქვს შეიტყოს, ვის რამდენი სამუშაო აქვს ბანკში და არც მგ რიგად შეიძლება კაცმა საქმე დაიწყოს. ყოველი მაგნაირი ცვლილება გამგეობამ ჯერ კამიტეტს უნდა წარუდგინოს და კამიტეტიც განიხილავს საქმეს და კრებას მოახსენებს. რაც შეეხება დარჩენილს მამულებს, უნდა მოგახსენოთ, რომ, რა ხარჯია საჭირო მართველისათვის, კრება-კი არა, ამ გზობით ვერც ჩვენ მოგახსენებთ. ჯერ ამ მამულების გარემოება უნდა შევიტყოთ და ეს მაშინ იქნება შესაძლო, როცა ბანკის საქმეთა მდგომარეობას მოგახსენებთ და მოისმენთ (სხოზოგადოება თანხმდა, „კარგია, კარგია“).

ბ-ნი პავლე ჩხეიძე. ბ-ნის ასათიანის აზრი კარგია და მოსაწონი. მიენდოს კომიტეტს და გამგეობას ჯამაგირების მიმატების საქმე. ამას გარდა უნდა მოგახსენოთ, რომ სხვებიც არიან კარგი მუშები, მაგალითად, მდივანი ბანკისა ბ-ნი ბ. ვ. ლოსაბერიძე, რომელსაც თვითოეული ჩვენგანი კარგად იცნობს.

ბ-ნი ა. ჯოყარიძე. თუ მაგათ უმატებთ ჯამაგირს, ქელბაქიანს რა დაუშავებია?

ბ-ნი ანჯაფარიძე. ქაჯაიას რა დაუშავებია?

ბ-ნი დ. ნ. ასათიანი. წეღანაც მოგახსენეთ, რომ ჯამაგირის მიმატება თუ დაკლება, ცოტა არ იყოს, კრების უფლებას აღემატება. ასე რომ მოვიქცეთ, ერთი ერთს მოსამსახურეს დაასახლებს და მეორე სხვას. ეგ ბანკის გამგეობისა და კომიტეტის საქმეა, რომელთაც თავიანთი აზრი მომატებისა თუ დაკლებისა ჯერ ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა შეიტანონ და შემდეგ კრებას უნდა მოახსენონ, თორემ კრებამ არც ის იცის, ნამდვილად ვის რა უნდა მიემატოს და არც იმის ანგარიში აქვს—თუ რამდენის მიმატებაა შესაძლო.

კრება დაეთანხმა ასათიანის აზრს.

ოხვ. ს. გ. წერეთელი. (თავმჯდომარე) ეხლა მოგების განაწილებას უნდა შევუდგეთ.

ბ-ნი პავლე ჩხეიძე: თუ შეიძლება ეხლა ბ-ნ ჩიკვაიძის საქმე დავიწყოთ. მაგ მოგების განაწილებას დრო და მოსაზრება უნდა.

ბ-ნი დ. ასათიანი. ნუ სწუხართ და ნუ ჩქარობთ, მაინც და მაინც ბევრი დრო არ არის საჭირო. სულ წმინდა მოგება 20 ათასი მანეთია; აქედან 8 ათასი სათადარიგო თანხისათვის უნდა გადაიდოს და 12 ათასი სკოლას უნდა მოხმარდეს, ხოლო სკოლისათვის საჭირო იქნება კიდევ 13 ათას მანეთამდე. ამ ფულის წყაროც უნდა აღმოვაჩინოთ და აი ჩვენი წმინდა მოგება. აქ ბევრი სალაპარაკო არა გვაქვს-რა.

პავლე ჩხეიძე. თუ მაგრეა, დავამტკიცოთ და სხვა საგანზე გადავიდეთ.

საზოგადოებაში ხმაურობა და ჩოჩქოლია. თავმჯდომარემ ათის წუთით შესწყვიტა კრება.

ანტაქტის დროს კრება თხოულობს ბანკის ანგარიში დაგვიჩიგეთო. ერთ-ერთი მოსამსახურე ბანკისა ურიგებს. თეატრის სკენიდგან ადის და ჩამოდის ბანკის ანგარიშის წიგნები.

კრება ხელ-ახლავ დაიწყო ორს საათზე. თავმჯდომარე კრებისა კითხულობს რუსულად თავად-აზნაურობის გადაწყვეტილებას, რომ კომიტეტმა სთხოვოს ბანკის კრებას, თუ შესაძლოდ დაინახავს, განსახილველ საქმეთა სიიდგან გამოირიცხოს ბ-ნ ჩიკვაიძის საქმე. თან ატყობინებს საზოგადოებას, რომ დღეს ეგ გადაწყვეტილება წაიკითხოთ, ხოლო თვით საქმის განხილვა ხვალისათვის დავნიშნოთ, კენჭით თუ უკენჭოდ, ეგ სულ ერთი იქნებაო. დღეს-კი გვიან არის, ვერ მოვასწრებთო. ეს ეს გარდაწყვეტილებაც:

კრების წევრის კ. ტ. ჩხეიძის მოხსენების გამო, თავად-აზნაურთა კრებამ სცნა-რა, რომ 21 მაისს სხვა საგნებს შორის, რომელიც უნდა განიხილოს მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა მორიგმა კრებამ, აღნიშნულია განსახილველად ამ ბანკის მმართველობის თავსმჯდომარის არა-წესიერი ქცევა-მოქმედებაც და ეს ქცევა-მოქმედება ის იყო, რომ მან არ დაანება მაისის კრებაზე წარდგენილი ვექილობის ქალაღდები ზედამხედველ კომიტეტს; ამას გარდა თავად-აზნაურთა კრებამ მიიღო-რა მხედველობაში, რომ ზემოხსენებულის ბანკის მმართველობის თავსმჯდომარის ქცევა-მოქმედება ბოროტის განზრახვით არ იყო ჩადენილი, არამედ გამოწვეულ იქმნა გაუგებრობით და სხვა-და-სხვა გარემოებათა უცნაურად მოწყობით; კვალად მიიღო-რა მხედველობაში ისიც, რომ რაც ხანმა მას შემდეგ განვლო, ცხადად დაგვარწმუნა, რომ არავითარი ისეთი შიში და ფათერაკი არ მოელის ბანკს, რომლის შესახებაც მაშინ ლაპარაკი იყო, კრებამ თავად-აზნაურობისამ გადასწყვეტა: ვთხოვოთ ზედამხედველს კომიტეტს მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისას, იშუამდგომლოს ბანკის წევრთა მოსალოდნელის კრების წინაშე, რომ ის განსახილველად დანიშნული საგანი, რომელიც შეეხება კომიტეტის გარდაწყვეტილებას 3 ივლისის 1890 წლის თარიღისას, გამორიცხულ იქმნას იმ საქმეთა სიიდამ, რომელიც ბანკის კრებას აქვს გასასინჯი და გადასაწყვეტი (Выписъ изъ журнальнаго постановленія Кутаисскаго губернскаго очереднаго собранія дворянства, 12 Мая 1891 года).

ბ-ნმა პავლე ჩხეიძემ განუმარტა კრებას თავად-აზნაურობის გარდაწყვეტილება. ხმაურობაა, დიდი უმრავლესობა კრებისა თანახმაა, შეიწყნაროს თავად-აზნაურობის კრების თხოვნა. „გამოირიცხოს, გამოირიცხოსო,“ იძახის უმრავლესობა.

პავლე ჩხეიძე. ბბ-ბო, ყოველად შეუძლებელია თავად-აზნაურობის თხოვნა არ შევიწყნაროთ. თუ ასე არ მოვიქეცით, უთანხმოებას, შფოთს და განხეთქილებას ჩვენს შორის ბოლო არ მოელება.

ხმაურობაა კრებაში, იძახის: „გამოირიცხოს, გამოირიცხოსო, ჩიკვაძე დარჩესო“.

ბ-ნი ანჯაფარიძე. ბბ-ბო, მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ჩიკვაძე სრული გამარჯვებული ბრძანდება. დიდი უმრავლესობა კრებისა მომხრეა მისი; როგორც შარშან მაისში დიდებულად და სახელოვნად გაიმარჯვა, ეხლაც ისე გაიმარჯვებს, ხოლო, ჩემის აზრით, ერთი ვინმეც რომ იყოს მისი წინააღმდეგი, უსათუოდ კენჭით უნდა გადაწყდეს საქმე და არა ყვირილით, რადგანაც იმისთანანაც არიან, რომ მორიდებით ვერაფერს ამბობენ.

ხმაურობაა; იძახინ: „კენჭი“ „კენჭიო“. ყურთა-სმენა ალარ არის ყრიამულისაგან.

ბ-ნი ანჯაფარიძე თავმჯდომარეს: ბატონებო, გაგვაგებინეთ, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით, შესაძლოა თუ არა ეგ საქმე გამოირიცხოს.

თავმჯდომარე: კომიტეტმა თავისი აზრი დაადგინა ჩიკვაიძის შესახებ და უნდა მოგახსენოთ ეს არის ჩვენი აზრი და სხვას ვერას გეტყვით, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ორს აზრს ვერ დავადგებით.

ხმაურობა და ძახილი: „დარჩეს ჩიკვაიძე, დარჩესო“.

ოხვ. მ. გ. მიქელაძე: ბ-ნებო, ბრძანეთ ვინ რას ფიქრობთ, კენჭით თუ უკენჭოდ. ასე ხმაურობით არ შეიძლება საქმე გადაწყდეს.

ისევ ხმაურობაა; იძახინ: კენჭი, უკენჭოდ, ისე დარჩეს, ასე დარჩესო.

ბ-ნი დ. ნ. ასათიანი. ზედამხედველს კომიტეტს ამ საქმის შესახებ თავისი აზრი აქვს და კიდევაც ჰსურს მოგახსენოთ. ასე გადაწყდება საქმე, თუ ისე, ეს თქვენი ნებაა, ხოლო საქმის გადაფუჭებება, გადამალვა და განუხილველად დატოვება ყოველად შეუძლებელია. ჩვენი საშინაო საქმე-კი არ არის მარტო, არამედ მთელი ქვეყანა შემოგვაცქერის. გაზეთებშიაც იყო ბევრი ნათქვამი და მთავრობამდისაც მიაღწია საქმემ. ეხლა ეს საქმე რომ არ მოგახსენოთ და არ განვიხილოთ, იტყვიან, ეგ რა ამბავიაო, ნუ თუ კამიტეტს შეეძლო, ეგ საქმე მიეფუჭებინაო. შესაძლოა იფიქრონ, რომ რაღაც მძიმე საგანი იყო და გადაუმალავთო. ეგრე ხმაურობითა და ყვირილით არ შეიძლება საქმის გადაწყვეტა (სხოზოგადოებიდგან სმა ისმის: „კიდევ იქნება ხმაურობა და ყვირალა“).

დ. ნ. ასათიანი. მაგისთანა ხმაურობა, ყვირილი და რახა-რუხი სკამებისა სამარცხვინოა. სჯობს საქმე განვიხილოთ გულ-დამშვიდებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ასე განიხილავთ საქმეს, თუ ისე, ბ-ნი ჩიკვაიძე გაიმარჯვებს და, რაკი ასეა, რატომ არ გინდათ საქმე მოისმინოთ და გულ-დასმით მოეკიდოთ. რისა გეშინიანთ, როცა უმრავლესობა თქვენ ხართ, ბ-ნ ჩიკვაიძისათვისაც უმჯობესი იქნება საქმე განხილულ იქმნას და ასე კანონიერად გაიმარჯვოს.

ბ-ნი გ. ნ. ჩაკაძე. ასათიანმა ბევრი ილაპარაკა და ისე ლაპარაკობს, თითქო ჩემთვის ზრუნავდეს (სხოზოგადოებაში იძახის: მართალია, არ ზრუნავს, არაო). თუ რა მზრუნველი ბრძანდება ბ-ნი ასათიანი, იქიდგან შეიტყობთ, რომ, როცა შარშან ოქტომბერში უწესობა მოხდა ბანკის კრებაზე, ეგ პეტერბურგში იყო. აქედგან დეპეშა მისწერეს, მინისტრთან მიდი და საქმის გარემოება მოახსენეო; ასათიანიც მივიდა მინისტრთან და მოახსენა, მაგრამ რა უნდა მოეხსენებინა, როცა იმ დროს აქ არა ყოფილა. ასეთი საქციელი ისეთის კაცის საქმეა, რომელიც გვერდელად და მიხვევ-მიხვევით იქცევა. ასეთი საქციელი განათლებულის კაცის საქმე არ არის.

დ. ასათიანი. ბ-ნებო მე გალანძღვა-კი არ მითხოვნია თქვენთვის.

გ. ჩაკაძე. საზოგადოებას ლაქა და ჩირქი მოსცხეს, იგი შერცხვენილია ზოგიერთის წყალობით, და დღეს თუ არ უნდათ ჩემის საქმისათვის კენჭის ჩამოტარება, ამის მიზეზი ის არის, რომ ჩემს მოწინააღმდეგეს იმედი აქვთ, დღეს საღამოს ჩიკვაიძის მომხრეებს გადავიტყუებთო. თუ აქ არავითარი ხერხი და ხრიკი არ არის, აბა რა იყო, ნადიმი რომ გასჯიმეს; რისთვის დამალეს ბ-ნ მინისტრის ქალაღდი, რატომ არ წაგიკითხეს, მინისტრს არც ჩემი საქციელი უცვნია ბოროტ-მოქმედებად და არც კომიტეტისა, მაგრამ საქმე ის არის, რომ განათლებულს კაცებს მეტი პატივისცემა უნდა გამოეჩინათ საზოგადოებისა, მეტი შორსმხედველობა, ხოლო ეს ვერ შესძლეს-კი. მე, ბ-ბო, არც კენჭისა მეშინიან და არც უკენჭობისა, ხოლო კენჭს თუ ჩამოატარებთ, უსათუოდ დღეს დასდგან ყუთები, უსათუოდ დღეს.

ხმაურობაა, კრების დიდი უმრავლესობა თანახმაა. იძახინ: დღეს, დღესვე კენჭი, კენჭიო.

ბ-ნმა თავმჯდომარემ რამდენისამე წუთით შესწყვიტა კრება. შემდეგ ყუთები დაადგმევინა და კენჭის ყრას შეუდგნენ.. საკითხი ეგრე იქმნა დადგენილი: გამოირიცხოს თუ არა განსახილველ საქმეთა სიიდგან ბ-ნ ჩიკვაიძის საქმე. საზოგადოების თხოვნით ასისტენტებად მიწვეულ იქმნენ თავ. ა. ი. ბაგრატიონი და ბ-ნი პავლე ჩხეიძე. კენჭის ჩამოტარებას თვალ-ყურს ადევნებს ბ-ნი სპ. ჯორჯიკია, წევრი ზედამხედველის კომიტეტისა, ბ-ნი თავსმჯდომარე ს. წერეთელი, ლ. ასათიანი და პ. ნაკაშიძე, წევრნი კომიტეტისანი მიდიან თეატრის დარბაზიდგან. სამის საათიდგან შინდამდე გაგრძელდა კენჭის ჩამოტარება. ბოლოს ბ-ნმა ს. ჯორჯიკიამ გამოაცხადა, რომ ჩიკვაიძის საქმის მოსპობის მომხრეთა რიცხვი 565-ია, ხოლო მოწინააღმდეგეთა—15.

ა. ნა—ლი

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

23 მაისი

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 22 მაისს. დღეს, ნაშუადღევის 1-ს საათზე „მაცხოვრის სავანეს“ მიბრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორიცა, დიდი მთავრისა ქსენია ალექსანდრეს ასული ღა დიდნი მთავარნი მიხეილ. ნიკოლოოზის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე. საიმპერატორო მატარებელი გაჩერდა საგანგებო ფართოდულას თანა, რომელიც მორთული იყო ხალებით, მაუდებითა ყვავილებით და დროშებით. ზარი ირეკებოდა და ხალხიც, რომელიც რკინის გზის ლიანდაგის აქეთ-იქით იდგა, ძლიერს „ურას“ იძახდა საერო საგალობლის დაკვრის დროს. ხელმწიფეა იმპერატრიცას ფარდულში მიეგებნენ: გუბერნიის უფროსი, რომელმაც სპატიო ქაღალდი მიართვა, მისი მუღლე, რომელმაც ჩაის ვარდების თაიგული მიართვა, გუბერნიის წინამძღოლი, გრაფი კაპნისტი, რომელმაც აგრეთვე თაიგული მიართვა და ქალაქის თავი, რომელმაც ვერცხლის საინით პურ-მარილი მიართვა, თავჯდომარე საერობო გამგეობისა კონდარტიევი, რომელმაც თაიგული მორართვა, ხარკოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავ. გოლიცინი, რომელმაც კალათით ყვავილები მიართვა, ვაჭართა უფროსი ქერეევი, რომელმაც ოქროში დაფერილის ვერცხლის საინით პურ-მარილი მიართვა, მამასახლისი ტარანოვსკი, რომელმაც პურმარილი მიართვა, საშხედრო და სამოქალაქო მოხელენი, წარმომადგენელნი ქ. ხარკოვის საზოგადო დაწესებულებათა და მანდილოსანნი. მოისმინა რა მილოცვანი, ხელმწიფე იმპერატრიცამ საგანგებოდ გამართულის ხიდურით განვლო ალაყაფის კარი სავანისა და შებრძანდა ტაძარში, სადაც კარებთან მისს უდიდებულესობას მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ამბროსი ქალაქის სამღვდელოებისა და სავანეს ბერებითურთ მიეგება. მისი უდიდებულესობა და მათი უმაღლესობანი ემთხვევნენ წმინდა ჯვარს და ისხურეს აიაზზა. ტაძრიდგან მისი უდიდებულესობა და მათი უმაღლესობანი, წინძღოლით ბერებისა, რომელთაც დროშები ეჭირთო, სამღვდელოებისა და მთავარ ეპისკოპოსის ამბროსისა გაეგებვარნენ იმ ტაძრის საძირკველის საკურთხებლად, რომელიც 1888 წ. 17 ოქტომბერის ამბის სახსოვრად შენდება. სატაძრო ადგილის მახლობლად ხელმწიფეა იმპერატრიცას მიეგებნენ: რეტორი უნივერსიტეტისა, სამოსწავლო მთავრობა სტუდენტებითურთ უნივერსიტეტისა და სატეხნოლოგიო და საბეითალო ინსტიტუტისა. ერთმა სტუდენტთაგანმა თაიგული მიართვა მისს უდიდებულესობას. იქვე იდგნენ მოწაფენი კეთილმობილ ქალთა ინსტიტუტისა და საქალაბო გიმნაზიებისა. უფროსმა ინსტიტუტისამ გოლოხვასტოვამ მისს უდიდებულესობას თაიგული მიართვა. საძირკველი აკურთხეს დროშებითა, ყვავილებითა და სახელმწიფო ღერბებით და მათის იმპერატორებითის უდიდებულოსობის ვენზელებით მშვენიერად მორთულს, თეთრის ქსოვილის ფარდულში. უფროსმა გუბერნიისამ, როგორც თავჯდომარემ ტაძრის მშენებელ კომიტეტისამ, წაიკითხა წარწერა ლიტითონის ფიცრისა, რომელიც ვერცხლისა და ოქროს ფულებითურთ მიამაგრეს ქვათე პირველი აგური, რომელიც მშენებელმა ხუროთმოძღვარმა მარფელდმა მოაწოდა, ხელმწიფე იმპერატორიცამ დასდო, ხოლო კირი წაუსვა მოიჯარადრე მშენებელმა გუბონინმა; მეორე აგური დასდო დიდმა მთავრინამ ქსენი ალექსანდრეს ასულმა. შემდეგ აგუარები დაუწყეს: დიდმა მთავრებმა მიხეილ ნიკოლოოზის და ალექსანდრე მიხეილის ძეთა. მთავარ პიტაპოსმა ამბროსიმ, გუბერნიის უფროსმა, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, ქალაქის თავმა, თავმჯდომარემ საერობ გამგეობისამ და კომიტეტის მდივანმა. საძირკველის კურთხევას შემდეგ ხელწიფე იმპერატრიმაც ჰნახ ფარდულში გამოფენილი სურათი დაწყებულის ტაძრისა ამ დროს მთავარ ეპისკოპოსმა ამბროსიმ აკურთხა ხელმწიფე იმპერატორი მაცხოვრის ხელთუქნელის ხატით და მშვენიერი ალბომი მიართვა მთაწმინდის უდაბნოს სურათებითა. გუბერნიის უფროსმა მიართვა მშვენიერს ჩარჩოში ჩასმული სურათი მამავალი ტაძრის შუბლის ფარდულიდამ გადაღებული. იმ ადგილას. სადაც ხელმწიფე იმპერატრიცა გამსჭვალული ქრისტიანულის გრძნობით დიდს ღვაწლსა სდებდა და დაჭრილთა და

მომაკვდავთ უელიდა და ნუგეშს აძლევდა, პატარა ბაღი გაშენებული. წარსულს ამბის მოგონებით შესამჩნევად აღელვებულმა ხელმწიფემ მოისურვა სვლა სელანაყარის მიწის გორაზე, რომელზედაც საიმპერატორო მატარებელი იდგა. ხელმწიფეა აბრძანდა ზემოდ საგანგებოდგამართულის კიბით, რომელზედაც აქეთ-იქით მწკრივად სტუდენტები და საქალებო ინსტიტუტის მოწაფეები იდგნენ და ხელსა და კაბაზე ჭოკენდნენ მისს უდიდებულესობას. დასახეს „ურა“, დაუკრეს საერო საგალობელი და დაიძრა საიმპერატორო მატარებელი სამხრეთისაკენ. ხელმწიფე იმპერატრიცა სულ ღია ფანჯარასთან იდგა და ალერსიანად თავს უკრავდა აღტაცებულსა და მხიარულს ხალხს, რომელიც ჯგუფად იდგა დაყრილის მიწის გორაზე.

პარიჟი. მებანკე ჟუანნო, რომელიც მოსკოვში ფრანგულის გამოფენის გამართვას ჰშველოდა, დაიმალა და დიდი დეფიციტი დასტოვა.

23 მაისი.

პეტერბურგი, ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან ლივადიიდამ, რომ გუშინ 11 საათზე ხელმწიფე იმპერატრიცა სევასტოპოლს მივიდა. ნავთსადგურზედ მიეგება დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. მისი უდიდებულესობა გადაბრძანდა კრეისერ „Адмиралъ Корниловъ:“-ზედ და გაემგზავრა იალტას, სადაც მივიდა საღამოს 7 საათზე.

ვლადივოსტოკი. გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩმა დაათვალიერა გემები და გამოეთხოვა ესკადრაში მოსამსახურეთ ფრეგატ „Владиміръ Мономахъ.“-ზე 4 საათზე ფრეგატ „Память Азова“-ზედ ჩამოუშვეს ბაირაღი. იმ დროს, როცა მემკვიდრე ცესარევიჩი გამობრძანდა ხმელეთზედ, ყველა გემი შედღუღეთ და „ურა“-ს ძახილით მიეგებნა. 7 საათზედ მისვა უმაღლესობამ მიირთვა სადილი, როლიც გაპმართეს ფრეგად „Память Азова“-ს ოფიცრებმა. ღამე სამხედრო გუბერნატორის სახლში გაათია და ღღეს 9 საათზე მისმა უმაღლესობამ ვლადივოსტოკი დასტოვა და ციმბირისაკენ გაემგზავრა. მემკვიდრე ცესარევიჩის გამოსვლამდე ადრიანად გუბერნატორის სახლის წინ შეიკრიბნენ წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა და გამგეობათა; ხალხი ძლიერ ბევრი იყო. ჯარი მწკრივად იდგა სვეტლანის ქუჩაზე. მრავალი მცხოვრებნი; ზოგნი ეტლებით და ზოგნიც ცხენებით აპირობდნენ მეფე-სტუმრის გაცილებას. როდესაც კარში გამოჩნდა მემკვიდრე ცესარევიჩი, ხალხში ურიამული შეიქნა. მოსწავლე ქალებმა და მანდილოსნებმა ყვავილებით დაუფინეს გზა მემკვიდრე ცესარევიჩს ეტლამდე. ეტლიც ზამბახებით იყო მორთული. ცესარევიჩი და მისი ამალა რომ წავიდა, გზა-გზა უფრო-და-უფრო ემატებოდა ხალხი და ასე გაჰყვნენ ქალაქს გარედაც. მეშვიდე ვერსზე მემკვიდრე ცესაევიჩს მიეგებნენ ფრეგატ „Память Азова“-ს აფიცრები მემუსიკეთა დასით. მისი უმაღლესობა შეჩერდა და გულითადად გამოემშვიდობა ზღვის აფიცრებს. საბერძნეთის პრინცი გეორგი, რომელმაც ამ ადგილამდე მოაცილა მემკვიდრე ცესარევიჩი, გამოემშვიდობა და უკან დაბრუნდა. აგრეთვე აუარებელმა ხალხმაც, რომელიც აქამდე მოვიდა, გზა დაულოცა მეფე-სტუმარს, გამოემშვიდობა და უკან დაბრუნდა. პირველს სადგურს პოდგორნაიაზე აფიცრები ზღვისა და ჯარისა და ქალაქის წარმომადგენელნი შეკრებილიყვნენ, რომ უკვეგუსტოესი სტუმარი გაეცილებინთ. როგორც წინა სადგურზე, ისე აქაც ბლომა ხალხი შეიკრიბა და გააცილა უკვეგუსტოესი სტუმარი. მემკვიდრე ცესარევიჩს თან ახლდნენ: გენერალ-გუბერნატორი, ბარონი კორფი, და სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი უნტერ-ბერგერი. ამალაში იმყოფება კონტრ-ადმირალი ბასარგინი. დღეს საღამოს 6 საათზე ცესარევიჩი მშვიდობით მიბრძანდა ნიკოლსკოეში. 100 ვერსი გაიარეს 9 საათში. საღამოს ექვსს საათზე საბერძნეთის პრინცი გეორგი ნავით „Корееецъ“-ით გაემგზავრა იოკაჰამას, საიდგანაც ამერიკაზე დაბრუნდება სამშობლოში.

კოზლოვი. გაიმართა კოზლოვისა და რიგის ელევატორები და კარგად მოქმედობენ.

კონსტანტინოპოლი. ხელმწიფე იმპერატორმა სულთანს გულითადი მადლობა გამოუცხადა დაბეშით დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის დაბეედრისათვის.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი დასწია 5%-ან 4%-მდე.

ვენა. გალიციის მრავალს ოლქში გუშინ სეტყვა იყო და მომეტებული ნაწილი ნათესებისა წაახდინა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 20 ᲛᲐᲘᲡᲘ.

	ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲦᲘᲡ.	ᲓᲐᲛᲬᲔᲚᲘᲡ.	ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲮᲣᲗ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲩᲠ.	6 74	6 76	— ,,
ᲢᲚᲐᲛᲬᲘᲜᲘᲡ ᲯᲣᲗᲜᲘᲡᲘ.	134½	135½	— ,,
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲕᲠᲪᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ	1 04	1 05	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲑᲘᲗ ᲑᲘᲚᲘᲔᲗᲘ	— ,,	— ,,	244
—ᲛᲔᲝᲠᲔᲚᲘᲡ	— ,,	— ,,	223
—ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡ	213	— ,,	— ,,
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲕᲐᲠᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	213	— ,,	— ,,
ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	101 62	— ,,	— ,,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	— ,,	— ,,	— ,,
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲠᲘᲠᲝᲗ ᲜᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲒᲐᲠᲓᲝᲗᲘᲡ	— ,,	— ,,	— ,,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

მიიღო გასასყიდად ამ ს